ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 34 (1670) ○ კვირა, 19 მარტი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

## ყველანი




## არჩევნებზე!

## მატჩ-რევანში მიმდინარეობს

15 მარტს მოსკოვის ესტრადის თეატრში დაიწყო მ. ტალისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანში მსოფლიო პირველობისათვის ჭადრაკში.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით მატჩ-რევანშის პირველი პარტია, რომელშიც ბოტვინიკი თეთრებით თამაშობდა, ამავე დღეს არ დამთავრდა. იგი გადაიდო მსოფლიო ჩემპიონისათვის მძიმე პოზიციაში. 16 მარტს დილით მ. ტალის მწვრთნელმა ა. კობლენცმა ტელეფონით შეატყობინა მსაჯს ჰ. გოლომბეკს, რომ მსოფლიო ჩემპიონი დანებდა თამაშის განუახლებლად.

როგორ მიმდინარეობდა პირველი პარტია? ბოტვინიკმა არ უღალატა თავს და თამაში დაიწყო ლაზიერის ფრთის პაიკით. ტალმა მიმართა ნიმცოვიჩის დაცვას. ეს დებიუტი ადრეც შედიოდა მსოფლიო ჩემპიონის რეპერტუარში. მაგრამ ამჯერად მან გაატარა გროსმაისტერ რაგოზინის იდეა — ცენტრის გახსნა. ბოტვინიკი სიამოვნებით აჰყვა ტალს, რადგან გაცვლების (ლაზიერის, ცენტრალური პაიკების) შემდეგ შეიქმნა დაბოლოება, სადაც აღარ იყო კომბინაციური გართულებების საბაბი. თამაში თანაბარ მდგომარეობაში მიმდინარეობდა და ამიტომ 22-ე სვლაზე ტალმა ბოტვინიკს ყაიმი შესთავაზა. მაგრამ ბოტვინიკმა წინადადება არ მიიღო. ენდშპილში მსოფლიო ჩემპიონმა ვერ ითამაშა დამაჯერებლად. მან დაუშვა სისუსტეები ორივე ფრთაზე და, რაც მთავარია, გადასვლა მსუბუქი ფიგურების ენდშპილში, სადაც ბოტვინიკის მხედარი ტალის კუზე ძლიერი აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონმა პაიკის შეწირვით გააქტიურა თავისი მეფის პოზიცია, მაგრამ მდგომარეობა კვლავ მძიმე დარჩა, ამიტომ კაბინეტურ სიმყუდროვეში გადადებული პარტიის ანალიზმა დაარწმუნა იგი შემდგომი წინააღმდეგობის უაზრობაში და დათმო პარტია.

17 მარტს გაიმართა მეორე პარტია. ტალმა თამაში დაიწყო მეფის პაიკით. ბოტვინიკმა, როგორც 1960 წლის მატჩში, მიმართა კაროკანის დაცვას. მსოფლიო ჩემპიონმა დებიუტიდან უპირატესობა ვერ მიიღო.

ბოტვინიკმა ადვილად გაათანაბრა პოზიცია. როცა თამაში საკმაოდ გამარტივდა, მეტოქეები ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. ტალმა მისთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით შეწირა პაიკი და შექმნა მეტად ძლიერი გამსვლელი პაიკი. 41-ე სვლაზე ბრძოლა შეწყდა. გადადებულ პოზიციაში ტალის გამსვლელი პაიკი თითქმის შეუფერხებლად გადის ლაზიერში.

გუშინ, 18 მარტს მოხდა ამ პარტიის დამთავრება. ტალმა იშვიათი სიზუსტით აამოძრავა გამსვლელი პაიკი. ბოტვინიკმა გააკეთა მხოლოდ ხუთი სვლა. შემდეგ ზედმეტად მიიჩნია შემდგომი წინააღმდეგობა და დანებდა.

ორი პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 1:1. 20 მარტს მოეწყობა მესამე პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობს.



„მე ასე ვცურავ!"
ფოტოეტიუდი ვ. ტუტოვისა.

## მაჯრი ბაქოში

თავისი უკანასკნელი შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა ჩაატარა ბაქოში ადგილობრივი „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ.

მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს ტაიმი ანგარიშით 33:27. მეორე ნახევარში თბილისელმა კალათბურთელებმა გააუმჯობესეს თამაში, მათ შეამცირეს კიდეც ანგარიშში განსხვავება, მაგრამ შეხვედრის ბედი თავიანთ სასარგებლოდ მაინც ვერ გადაწყვიტეს. მატჩი მოიგეს ბაქოელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 65:63.

თბილისის „ბურევესტნიკმა" დაამთავრა ტურნირი. იგი თავის ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გამოვიდა.

## სპორტი საზღვარგარეთ

### გერმანია

ჩვენი ქვეყნის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი ბად-რეიჰენჰალედან, სადაც მას პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდა დასავლეთ გერმანიის უძლიერეს სპორტსმენებთან, კელნში ჩამოვიდა. აქ მოეწყო მეორე მატჩი, რომელსაც ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

უმძიმესი წონის მოჭიდავეთა ი. კოჩერგინისა და ახალგაზრდა ლაკურუს ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ტროსტიანსკიმ მოუგო გფრ-ს სამგზის ჩემპიონს ვერნერს, მ. ლუდუშაურმა — შრადერს, ვ. ქიტენევმა — როსტს, ვ. გვანცელაძემ — ლიპოლდს, ი. როტსმა (სსრ კავშირი) — მარიჩნიგს. გერმანელ ხ. ჰესისა და მ. ნიგლასის (სსრკ) შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ოლიმპიური ჩემპიონის ვ. დიტრიხისა და ს. ზასულსკის (სსრკ) შეხვედრამ. როგორც ცნობილია, წინა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა მოჭიდავემ, მაგრამ ამჯერად დიტრიხმა რევანში აიღო ბადრეიჰენჰალეში დამარცხებისათვის.

### ჰოლანდია

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა თავისი საწვრთნელი გამოსვლები ჰოლანდიაში. უკანასკნელი მატჩი ჩვენს ნაკრებს დაგეგმილი ჰქონდა ამსტერდამის „ბლაუ-ვიტთან", მაგრამ ამ გუნდის ნაცვლად ნაკრები 16 მარტს ქ. ენსჰედეში შეხვდა ადგილობრივ „ენსჰედეს".

პირველად წარმატებას მიაღწიეს ჰოლანდიელებმა. მათი მარცხენა გარემარბი ლიუსინკი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და გახსნა ანგარიში. მცირე ხანს შემდეგ გარღვევაზე გავიდა მესხი და ზუსტად მიაწოდა მარჯვენა ფრთაზე, სადაც კომბინაცია დაამთავრა მეტრეველმა — 1:1. მცირე ხანს შემდეგ საბჭოთა გუნდის იერიში დამთავრდა კიდევ ერთი გოლით (ივანოვი) და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:1 სტუმართა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ძირითადად გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. შემდგომში „ენსჰედემ" შეძლო რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. მატჩი მოიგო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2:1.

## პირველი ეტაპის შედეგები

დამთავრდა „ა" კლასის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი—შეჯიბრებები ქვეჯგუფში. ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო 8 კოლექტივმა — ქვეჯგუფში პირველ ოთხ ადგილზე გამოსულმა გუნდებმა.

როგორი შედეგებით აღინიშნა ჩემპიონატის პირველი ეტაპი და რომელმა გუნდებმა მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება? პირველ ქვეჯგუფში ჩემპიონატს პირველსავე ტურიდან ლიდერობდა ლენინგრადის არმიელთა კოლექტივი. ამ გუნდმა მოიგო რა ყველა კალენდარული შეხვედრა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის კოლექტივი. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდს ჩემპიონატში მონაწილე ყველა დანარჩენ გუნდებზე უკეთესი (შედეგიანი) თავდასხმა აღმოაჩნდა. პირველ ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა, ხოლო მეოთხე —მოსკოვის „ტრუდის" სპორტსმენებმა.

მეორე ქვეჯგუფში, წარმატებას მიაღწიეს ლენინგრადელმა კალათბურთელებმა. ამ ქალაქის „ბურევესტნიკმა" დაიკავა ტურნირში პირველი ადგილი და წააგო მხოლოდ ერთი შეხვედრა გუნდთან, რომელიც ვერ მოხვდა ფინალისტთა რიგებში (როსტოვის „ბურევესტნიკთან"). ერთი წაგებით მეორე ადგილზე აღმოჩნდა ტარტუს უსკა. მესამე ადგილი გათამაშებაში მოიპოვა მოსკოვის „დინამომ", მეოთხე ფინალისტი ქვეჯგუფში გახდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი. თბილისელმა კალათბურთელებმა სუსტად დაიწყეს ჩემპიონატი და განიცადეს ზედიზედ სამი დამარცხება. შემდგომში ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს 4 მატჩი და დააგროვეს იმდენივე ქულა რამდენიც როსტოვის „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა, მაგრამ ვინაიდან თბილისის სპის გამარჯვება ჰქონდა როსტოვის გუნდთან, იგი გავიდა მეოთხე ადგილზე.

ქვემოდ მოგვყავს შეჯიბრების საბოლოო შედეგები ორივე ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

### პირველი ქვეჯგუფი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| სკა ლენინგრადი | 7 | 7 | 0 | 7 |
| ტტტ რიგა | 7 | 6 | 1 | 6 |
| სკიფი ლენინგრადი | 7 | 5 | 2 | 5 |
| „ტრუდი" მოსკოვი | 7 | 3 | 4 | 3 |
| „ბურ" ნოვოსიბირსკი | 7 | 3 | 4 | 3 |
| კპი კაუნასი | 7 | 2 | 5 | 2 |
| სიმ მოსკოვი | 7 | 1 | 6 | 1 |
| ურალმაშ. სვერდლ. | 7 | 1 | 6 | 1 |

### მეორე ქვეჯგუფი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| „ბურ" ლენინგრადი | 7 | 6 | 1 | 6 |
| უსკა ტარტუ | 7 | 6 | 1 | 6 |
| „დინამო" მოსკოვი | 7 | 4 | 3 | 4 |
| სპი თბილისი | 7 | 4 | 3 | 4 |
| „ბურ" როსტოვი | 7 | 4 | 3 | 4 |
| „დინამო" კიევი | 7 | 2 | 5 | 2 |
| „ბურ" მინსკი | 7 | 1 | 6 | 1 |
| „ბურ" ბაქო | 7 | 1 | 6 | 1 |

## წოდებათა მინიჭება

ფიზკულტურის დარგში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა „ფიზკულტურის წარჩინებული" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ს. კვანჭახაძე (ხაშური), ხაშურის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჩიქოვანი, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი ო. ხაზარაძე.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ჭადრაკში ს. გუგუნავას (თბილისი, „კოლმეურნე"), ტანვარჯიშში გ. ჩიჩუას (სოხუმი, „სპარტაკი").

ეროვნული ბიბლიოთეკა



★

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა ბევრი საინტერესო ღონისძიება მიუძღვნეს.

* * *

**სურათზე:** (მარცხნივ) რუსთავის სააგიტაციო ველოგადარბენის მონაწილენი ლაშქრობის წინ. სოხუმში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ავტოგადარბენა. ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტები, როდესაც მანქანები ტოვებენ ქალაქ სოხუმს.

★



# გავამაგროთ შერყეული პოზიციები

**როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ ტალინსა და მინსკში მიმდინარეობდა საუწყებათაშორისო საკავშირო პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. მოსამზადებელი ვარჯიშები მიმდინარეობდა შეჯიბრების ადგილას. საქართველოს წარგზავნილები ვ. რუბაშვილისა და ზ. შეყრილაძის გარდა, მეტად დაბალი შედეგებით გამოვიდნენ. ამ ჩემპიონატისა და საერთოდ, რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის შემდგომი განვითარების საკითხი განიხილა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა და დასახა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.**

სპორტს აქვს რკინის კანონი — მხოლოდ წინ! როგორც კი შეფერხდები, სხვა გაგასწრებს, კვლავ ავანგარდში დაბრუნება კი ერთობ ძნელია — მას წლობით თავდაუზოგავი მუშაობა სჭირდება. ამის მწარე მაგალითი ჩვენ ტანვარჯიშში გვაქვს. მაგრამ ახლა ჩვენ ტანვარჯიშზე არ გვინდა ლაპარაკი. იგი დღის წესრიგში დგას და მის შესახებ ცალკე გავესაუბრებით ჩვენს მკითხველს.

ჩვენ ამ წერილში გვინდა შევეხოთ რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის განვითარების საქმეს. როგორც ცნობილია, ამას წინათ მინსკსა და ტალინში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. უნდა გავიმეოროთ ცნობილი დებულება. შეჯიბრებაზე ჯამდება მთელი ჩვენი მუშაობა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. თუ ეს ნამდვილად ასეა, თუ მინსკისა და ტალინის ჩემპიონატებმა შეაჯამეს ჩვენი მუშაობა ამ დარგში, მაშინ მეტად სავალალო მდგომარეობა გვქონია.

თუ რა წარმატებები გვქონდა საერთოდ ჭიდაობაში და კერძოდ თავისუფალ ჭიდაობაში, ეს ყველასათვის ცნობილია. გუნდურ პირველობას ვერავინ გვეცილებოდა, სამი, ოთხი (ხუთიც კი) საკავშირო ჩემპიონი ყოველთვის გვყავდა. მსოფლიო ჩემპიონი და საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვება ჩვენთვის იშვიათობას არ წარმოადგენდა, კანონიერად ვამაყობდით, თამამად ვაცხადებდით, რომ სპორტის ამ სახეობას რესპუბლიკაში მტკიცე საფუძველი აქვს, რომ საქართველო ფალავანთა კერაა. მაგრამ როგორც ამ ბოლო ხანებში ირკვევა, კერა ცივდება, ფალავანთა რიგები თხელდება და ის დიდი ტრადიცია, რომლითაც ჩვენ ვამაყობდით, საფრთხეშია. მინსკისა და ტალინის ჩემპიონატი ამის საუკეთესო დადასტურებაა. მხოლოდ ერთი ჩემპიონი და ერთი მეორე ადგილი. აი ჩვენი ოქროსა და ვერცხლის „ნადავლი". ამ ორი საპრიზო ადგილის იქით მეტად სამარცხვინო მდგომარეობაა. ჩვენი მოჭიდავეთა გვარებს შეხვდებით მე-10, მე-14, მე-16, 28-ე და ასე განინჯეთ 31-ე ადგილზედაც.

როდესაც ტალინისა და მინსკის ჩემპიონატების შედეგებს იხილავდა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი, მოწვეულმა ამხანაგებმა, მწვრთნელებმა, ნაკრები გუნდის წევრებმა თითქმის ყველაფერი შემთხვევითობას გადააბრალეს და მე-10, მე-11 და მე-14 ადგილზე გამოსული მოჭიდავეთა შედეგები დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ჩვენ კი გვგონია, რომ აქ შემთხვევითობა ძირითადი არ არის. თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ასეთი ტოტალური უკუსვლა კანონზომიერია. თუ ზოგიერთ ვაი ოპტიმისტს ეს არ ჯერა, გადახედოს საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატის შედეგებს და დარწმუნდება.

ახლა შევეცდებით ავხსნათ თუ რა არის ყოველივე ამის მიზეზი. პირველი და მთავარი ის არის, რომ შესამჩნევად დაქვეითდა სწავლების პროცესი. თავისუფალ ჭიდაობაში შერწყმული ქართული ჭიდაობის ფანდები უკვე ყველამ ისწავლა, იგი აღარავისთვის არის საიდუმლო. ირკუტსკელი თუ რიგელი, ტალინელი თუ მინსკელი თავისუფლად აკეთებს მოგვერდს, შუაკაურს, გარესარმას. ჩვენ კი ესეც დაგვავიწყდა და არც ახალი ვისწავლეთ. დასამალი არაა, ჩვენი მწვრთნელების კარჩაკეტილობამ და ჩამორჩენილობამ, ერთმანეთში გაუთავებელმა დავამ, კინკლაობამ, ვიწრო საუწყებო ინტერესებისადმი თაყვანისცემამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. ბევრმა მწვრთნელმა დაკარგა ავტორიტეტი თავის აღზრდილთან, ამ უკანასკნელს არ ჯერა თავისი აღმზრდელის, რადგანაც გრძნობს, რომ მან უფრო მეტი იცის. მწვრთნელ გიგიაძისა და მისი აღზრდილ შეყრილაძის დამოკიდებულება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ გაითქვიფა ერთმანეთში მწვრთნელი და აღსაზრდელი.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოირკვა, რომ მხოლოდ ერთი სპორტსმენი ვ. რუბაშვილი ვარჯიშობს სისტემატურად, დანარჩენი კი სეზონურად, როცა შეჯიბრება მოახლოვდება და სპორტული საზოგადოება ან სპორტკავშირი შეკრებას დანიშნავს. გავიხსენოთ 1957 წელი, როდესაც თბილისში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა. ჩვენ აქ, სახლში დავმარცხდით, არც „კედლებმა" გვიშველა და არც „საგანგებო" შეკრებამ. მაშინ მწვრთნელებმა წარუმატებლობის მიზეზად სწორედ „სახლში" მოწყობილი შეკრება დაასახელეს (ნაკრები გუნდის წევრებს სახლებში ეძინათ, რეჟიმს ვერ იცავდნენ). ახლა კი ამბობენ, რომ შეკრება ტალინსა და მინსკში იყო, თბილისში, რომ ყოფილიყო უფრო კარგი შედეგი გვექნებოდაო. სახლშიც და სახლის გარეთ ჩატარებული შეკრებით წავაგეთ. მაშ, რა ვქნათ, სად ჩავატაროთ ახლა შეკრება. მთვარეზე ხომ არა?

რესპუბლიკის სპორტის მოყვარული საზოგადოებრიობა სამართლიან საყვედურს გამოთქვამს ჩვენი მაღალი კლასის მოჭიდავეების მიმართ. ისინი არ კადრულობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გამოსვლას. გ. სხირტლაძეს, ვ. ბალავაძეს, ო. კანდელაკს, მ. ცალქალამანიძეს მიბაძეს ვ. არსენიანმა, ა. გვიმრაძემ, შ. ლომიძემ და მხოლოდ საკავშირო სარბიელისაკენ მიუწევთ გული. რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა სურვილს — ნახონ ისინი რესპუბლიკურ ღონისძიებებში, არად აგდებენ. წელიწადში ორ-სამ შეჯიბრებაში მონაწილეობით სპორტსმენი ვერც გაიზრდება და ვერც ფორმას შეინარჩუნებს. ამ ფაქტსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს ჩავარდნაში.

I სპარტაკიადის დამთავრებისთანავე პრეზიდიუმმა დადგენილება მიიღო თავისუფალი ჭიდაობის შემდგომი აღმავლობის შესახებ. სხვა პუნქტთა შორის აღნიშნული იყო, რომ საჭიროა კავშირი რაიონებთან. არც ერთი მწვრთნელი (მ. თიკანაძე, შ. ნოზაძე, პ. იორდანიშვილი, ლ. კაპიტონოვი, ვ. ილურიძე, გ. როსტიაშვილი და სხვები) ამ მიზნით ერთხელაც არ სწვევიან რაიონებს. უცდიან როდის გამოჩნდება ვინმე კარგი მონაცემების მქონე მოჭიდავე და მზამზარეული ეწვევა თბილისს. თუმცა თვითეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ მათივე აღზრდილი ჩემპიონები სწორედ სოფლის წიაღში არიან გამოზრდილნი.

ჩვენს მწვრთნელებს და მათ შემყურე სპორტსმენებსაც თავი ყოვლის მცოდნედ წარმოუდგენიათ. ასეთი თვითდაჯერების, თვითდამშვიდების მიზეზია ის, რომ 1956 წლიდან დღემდე არც ერთხელ არ ჩატარებულა მწვრთნელთა სემინარი. თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციამ არ იცის, თუ რა ცოდნის მარაგიანი მწვრთნელები ჰყავს რაიონებში. ჩვენ კი ვიცით, რომ რაიონებში მეტად სავალალო მდგომარეობაა. მწვრთნელები ძველი, დახავსებული მეთოდებით ასწავლიან ბავშვებს, უმრავლესობამ არ იცის იმ სიახლეთა შესახებ, რომლებიც თავისუფალ ჭიდაობაში ხდება ყოველ წელს.

ყოველივე ზემოთქმულში ბრალი მიუძღვით სპორტულ საზოგადოებებს: „დინამოს", „სპარტაკს", „ბურევესტნიკს", „შრომითი რეზერვებს", „ლოკომოტივს", „კოლმეურნეს". მათი უკონტროლობის, ზედმეტი ნდობისა და ხშირად ვიწრო საუწყებო ინტერესების შედეგია ასეთი ჩამორჩენა. ყველა საზოგადოებას ჰყავს ჯგუფები ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მაგრამ არ ხდება (და თუ ხდება იშვიათად) მათი შემოწმება, არ ინტერესდებიან რომელი მწვრთნელი რას აკეთებს, რამდენ ადგილას მუშაობს, ვისა ზრდის და როგორ ზრდის.

რაც შეეხება ბაზებს, აქ კი მწვრთნელები და მათი აღზრდილებიც ბევრ რამეში მართალი არიან. გორში, საგარეჯოში, მცხეთაში, კასპში საჭიდაო დარბაზები აშენდა, თბილისი კი ერთი საჭიდაო დარბაზის ამარა დარჩა. აქ ვარჯიშობს ყველა — ახალბედა და მსოფლიო ჩემპიონი. ისედაც პატარა დარბაზში იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ ამოსუნთქვის საშუალება არც კი არის. მაგრამ აქაც დამნაშავენი თვით ჭიდაობის მესვეურნი არიან. ისინი, რომლებიც ორ, სამ ან ოთხ ადგილზე მუშაობენ, ვერ ასწრებენ ყველგან ყოფნას, ამიტომ ყველა ცდილობს ცენტრალურ დარბაზში დროს ალებას. თბილისში არის შესაძლებლობა იმისა, რომ ეს დარბაზი შესამჩნევად განიტვირთოს, მაგრამ ამას ანგარების მიზნით თვითონ უშლიან ხელს.

სულ მალე თბილისში მწყობრში ჩადგება „ლოკომოტივისა" და „განთიადის" საჭიდაო დარბაზები, აგებულ იქნება ძალოსნობის ბაზაც. ეს გვექნება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი სასახელო ფალავნები უკვე არსებულ ბაზებზე არიან აღზრდილი და თუ ჩვენ საერთო საქმის, რესპუბლიკის სპორტის სიყვარულით ვიმუშავებთ, კვლავაც უნდა შევძლოთ ახალი ტალანტების გამოვლინება.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა უკვე იმსჯელა ამ საკითხზე. მწვრთნელებს, რომლებსაც მნიშვნელოვნად ბრალი მიუძღვით ტალინისა და რიგის ჩემპიონატში დაბალი შედეგებით გამოსვლაში და საერთოდ თავისუფალ ჭიდაობაში არსებულ მდგომარეობის გამო, სათანადო სასჯელი დაედოთ.

პრეზიდიუმმა მკაცრად გააფრთხილა „სპარტაკის", „დინამოს", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", „კოლმეურნის", „ლოკომოტივის" ხელმძღვანელები, ყველა მწვრთნელი და ფიზკულტურული მუშაკი, რომლებიც ჭიდაობასთან არიან კავშირში, რომ ყოველი ღონე იხმარონ, რათა განმტკიცდეს სპორტული დისციპლინა მოჭიდავეებში, აიმაღლონ საკუთარი ცოდნის დონე, მჭიდრო კავშირი დაამყარონ პერიფერიებთან, მასობრივი მუშაობის გაშლით გამოავლინონ ახალი კადრები.

რესპუბლიკის მშრომელები, სპორტის მოყვარული საზოგადოებრიობა არავითარ შემთხვევაში არ გვაპატიებს ჭიდაობაში ჩამორჩენას. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რათა საფუძვლიანად გავამაგროთ შერყეული პოზიციები.



თბილისში ამხანაგური შეჯიბრებების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ რუმინელი მაგიდის ჩოგბურთელები,
**სურათზე:** რუმინელ სპორტსმენთა ჯგუფი თბილისის აეროპორტზე.

# ღირსეული სასჯელი

როგორც ცნობილია, ამას წინათ „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა ფელეტონი — „ორთაბრძოლა სასტუმროში", რომელშიც მოყვანილი იყო ახალგაზრდა მოფარიკავეების — თ. ზაუტაშვილის, ი. მაშინაიას და ა. გოგელიას აღმაშფოთებელი საქციელის შესახებ.

ახლახანს საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე იმსჯელა ამ ფაქტის გამო. გამორკვევამ საესებით დაადასტურა „სოვეტსკი სპორტში" მოთავსებული წერილის სიმართლე. თ. ზაუტაშვილმა, ი. მაშინაიამ და ა. გოგელიამ, რომლებიც ქალაქ მინსკში იმყოფებოდნენ ახალგაზრდა მოფარიკავეთა შეჯიბრებაზე, სასტუმროში მოაწყეს ღრეობა, დაითვრნენ, ხოლო ა. გოგელიას წასვლის შემდეგ, თოახში დარჩენილმა ორივე სპორტსმენმა ატეხა დებოში.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ასეთი საქციელი ყოვლად შეუთავსებელია საბჭოთა სპორტსმენის სახელთან და იგი, უპირველესად ყოვლისა, მეტყველებს, რომ საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის მეტად სუსტად მიმდინარეობს აღმზრდელობითი მუშაობა; ამასთან ერთად აღინიშნა, რომ არასწორი პრაქტიკაა ახალგაზრდა სპორტსმენების საკავშირო შეჯიბრებაზე გაწვევა მწვრთნელ-წარმომადგენლის გარეშე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მინსკში ჩატარებულ მოფარიკავეთა შეჯიბრებაზე, სადაც საქართველოდან წარგზავნილ 12 ჭაბუკს არ ჰყავდა არცერთი მწვრთნელი-წარმომადგენელი.

პრეზიდიუმმა მკაცრად დასაჯა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თ. ზაუტაშვილი, სპი-ს სტუდენტი ი. მაშინაია და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. გოგელია. თ. ზაუტაშვილი დისკვალიფიცირებულია ერთი წლით და გამოყვანილია საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან. ნაკრების შემადგენლობიდან გამოყვანილია ი. მაშინაიაც, რომელიც, ამასთან დისკვალიფიცირებულია 1961 წლის ბოლომდე. ა. გოგელიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სასჯელს გარეშე არ დარჩნენ ამ სპორტსმენთა მწვრთნელებიც — ტ. მესხი, ვ. ყოჩიაშვილი და შ. დარასელია, პირველ ორს გამოეცხადა საყვედური, ხოლო შ. დარასელიას მიეთითა.

პრეზიდიუმმა თხოვა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებს, განიხილონ თავიანთი სტუდენტი სპორტსმენების სამარცხვინო საქციელი.

# XXII საჭადრაკო ჩემპიონატი

## მეცხრამეტე ტური

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ მაყურებელთა უმრავლესობას აინტერესებდა ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა გურგენიძისა და ბუსლაევის პარტიები. მაშინ, როცა გურგენიძე მძაფრად უტევდა ეგიაშვილის ცენტრში დარჩენილ მეფეს, ბუსლაევი მანევრირებას ეწეოდა შეინცვიტთან. იგი ელოდებოდა გურგენიძის პარტიის შედეგს. ამიტომ, როცა ქართველი ოსტატის იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდა, ბუსლაევმა დაკარგა მისი დაწევის იმედი და მე-12 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა მეტოქეს.

საქართველოს ჩემპიონს გურგენიძეს შემოეხვივნენ ტურნირის მსაჯები, მონაწილენი, გულშემატკივრები და მიულოცეს ახალი წარმატება.

ჩემპიონის ვინაობის გარკვევას ხელი „არ შეუშლია" სხვა პარტიებში შინაარსიანი თამაშისათვის. ბერაძემ ორი მხედრის დებიუტში მოხდენილად მოიგერია ჯანოევის აგრესიული თავდასხმა. მან მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და გაიმარჯვა. შიშოვმა ოსტატურად გამოიყენა მიქაელიანის პოზიციაში შავი უჯრების სისუსტე. ეტლის დაკარგვის შემდეგ მიქაელიანი დანებდა. გამრეკელმა კარო-კანის დაცვაში ვერ მოიგერია იზვოზჩიკოვის გამანადგურებელი იერიში და დამარცხდა. ლომაიამ ცხარე ბრძოლაში მოუგო ბლაგიძეს. გიორგაძე-კალატოზიშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა.

* * *

ჩემპიონატი დამთავრდა. სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება: ე. გუფელდი — 15,5 ქულა, ლ. შტეინი, ბ. გურგენიძე — 14,5 ქულა თვითეულს, რ. ხოლმოვი — 14 ქულა, ა. ბუსლაევი — 13 ქულა, თ. ლომაია — 12 ქულა, მ. შიშოვი — 10,5 ქულა, გ. ეგიაშვილი — 9,5 ქულა, ა. ბრეიტმანი, ა. იზვოზჩიკოვი — 9 ქულა თვითეულს, ჯ. ბერაძე — 8,5 ქულა, თ. გიორგაძე, დ. ჯანოევი — 8 ქულა თვითეულს. გ. კალატოზიშვილი — 7,5 ქულა, რ. შეინცვიტი — 7 ქულა, ა. ბლაგიძე, ე. მიქაელიანი — 6,5 ქულა თვითეულს, ა. გაგუა — 6 ქულა, ი. ჩიქოვანი — 5,5 ქულა, გ. გამრეკელი — 5 ქულა.

ჩემპიონატის დებულებით ბ. გურგენიძემ და ა. ბუსლაევმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

გაზეთ „ლელოს" სპეციალური პრიზი ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის გაიყვეს თ. ლომაიამ, მ. შიშოვმა და ა. იზვოზჩიკოვმა, რომლებმაც 4-4 ქულა მოაგროვეს.

პირველთანრიგოსანმა გ. ეგიაშვილმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა.

# წყნეთის მიდამოებში

ამას წინათ წყნეთის მიდამოებში გაიმართა თბილისის პირად-გუნდური პირველობა თხილამურებში. პროგრამაში იყო რბენა 10 კილომეტრზე ვაჟებისათვის, 5 კილომეტრზე ქალებისათვის და ესტაფეტები. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში შედიოდა 3 საუკეთესო შედეგი ვაჟთა შორის და ორი შედეგი — ქალთა შორის.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოთხილამურეები. მეორე ადგილი წილად ხვდა უნივერსიტეტის სპორტსმენებს, ხოლო მესამე — უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენლებს.

პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის თავი გამოიჩინეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოთხილამურეებმა. ი. პროკოშკინმა პირველი ადგილი დაიკავა 10 კილომეტრზე რბენაში, ხოლო ა. ვეზდენმა — მეორე. მესამე ადგილზე გამოვიდა ა. მარგიანი (უნივერსიტეტი).

ქალთა რბენა 5 კილომეტრზე მოიგო უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ვ. ლემენჩუკმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ნ. ჩხაიძემ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და ნ. კასრაძემ (უცხო ენათა ინსტიტუტი). ვაჟთა ესტაფეტა (3×5) მოიგო უნივერსიტეტის სპორტსმენთა კოლექტივმა, ხოლო ქალთა შორის სათხილამურო რბოლის ამ სახეობაში (3×3 კმ-ზე) თბილისის ჩემპიონი გახდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

# სიახლენი საქალაქო გათამაშებაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად 1961 წლის საფეხბურთო შეჯიბრებათა შესახებ, სიახლეა შეტანილი თბილისის პირველობის გათამაშებაშიც.

წინასწარი თამაშები რაიონებს შორის ეწყობა წრიული სისტემით, ერთ წრედ იმ გუნდების გარეშე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატში პირველ ჯგუფში („სინათლე", „სპარტაკი", ფიზკულტურის ინსტიტუტი, „ისანი" და სხვ). შემდგომში შეჯიბრებაში მონაწილეობენ არა ნაკრები გუნდები, არამედ ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები. გარდა ამისა, რაიონები, რომლებიც ჩაატარებენ წინასწარ შეჯიბრებას გუნდების დიდი რაოდენობით, მიიღებენ საქალაქო ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლებას შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: 10-15 მონაწილე გუნდიდან რაიონს ეძლევა ერთი ადგილი, 15-20 გუნდიდან — ორი ადგილი, 20 და მეტი გუნდიდან — სამი ადგილი.

თბილისის ჩემპიონის გამოსავლინებლად ჩატარდება ფინალური შეჯიბრება რაიონების წინასწარ შეჯიბრებებში გამარჯვებულ გუნდებს შორის.

ა. გონელი



ახლოვდება ფეხბურთის სეზონი. ემზადებიან გუნდები, ემზადებიან სტადიონების დირექციები. ამ სურათზე აღბეჭდილია გეგეჭკორის რაიონული ცენტრის სტადიონი, იგი ასე გამოიყურება დღეს. არაფერს ვიტყოდით, რომ მისი წესრიგში მოყვანის რაიმე პერსპექტივა არსებობდეს.



# ჭერულას გამოქვაბულში

იანვრის პირველ ნახევარში სპელეოლოგიის ამბროლაურელ მოყვარულთა ჯგუფი გაემგზავრა ონის რაიონის სოფელ შქრემში, რომლის დასავლეთ მხარეს, სოფლიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ჰერულას კარსტული გამოქვაბული. შქმერში შემოგვიერთდა ადგილობრივ მოსწავლეთა ჯგუფი.

გამოქვაბულში შესასვლელიდან გამომდინარე ნაკადულის ნაპირს შევყევით. ჩვენს წინ თანდათან ხსნიდნენ თავიანთ საიდუმლოებას დარბაზები, რომლებიც ღამურების თავშესაფრად გადაქცეულან.

შესასვლელიდან რამდენიმე მეტრის შემდეგ ცენტრალურ მღვიმეს უერთდება მარცხენა სამხრეთ განშტოება, რომელიც სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებითაა მოფენილი. ჩვენი ყურადღება მიიქცია სტალაგმიტების ულამაზესმა კიბემ. გზის გაგრძელება აქედან გაჭირდა, ვინაიდან წყალს ქვიშნარით ამოუვსია გასასვლელი. მის ძიებაში მოვხვდით ახალ ფართო დარბაზში. მეტად ორიგინალური იყო მეშვიდე დარბაზი, მთლიანად შავი. რაც მანამდე არსად შევვხვედრია.

ცენტრალურ შტოს მარჯვენა მხრიდან უერთდება დარბაზთა ახალი წყება, რამდენიმე ადგილზე შევხვდით უფსკრულებს.

ჰერულას გამოქვაბულის ყველა საიდუმლოებათა აღწერა და გაცნობა აღემატებოდა ჩვენს შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ საქართველოს სპელეოლოგები გამონახავენ დროს გამოქვაბულის შესწავლისათვის.

ა. ვაჩაძე,
ამბროლაურის მეორე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

* * *

სურათზე: ჰერულას გამოქვაბულის ერთ-ერთი დარბაზი.

# წერილი რედაქციას

## ვინ იზრუნებს?

როგორც ცნობილია, საქართველოში, გასული, 1960 წლის მაისს საფუძველი ჩაეყარა შაიბიან ჰოკეის. მოსკოვიდან სამუშაოდ ჩამოვიდა გამოცდილი მწვრთნელი ვ. ზახაროვი. პირველი „პიონერების" შემადგენლობაში შერჩეულ იქნა მონაცემების მქონე ახალგაზრდობა და წვრთნაც დაიწყო. ვ. ზახაროვს უხდებოდა ვარჯიშის ჩატარება ხუთ ჯგუფთან, თვითეულ ჯგუფში კი 30 კაცი შედიოდა. ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაცია დაგვპირდა მეორე მწვრთნელის ჩამოყვანას, მაგრამ დღემდე მწვრთნელი არ ჩანს.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავთან დაკავშირებით ღაბა ბაკურიანში ტარდებოდა საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა, რომელშიც თბილისიდან (თბილისის სპორტკავშირების სახელით) მონაწილეობდა 17 ჰოკეისტისაგან დაკომპლექტებული ორი გუნდი. მოკლე ხნის შეკრების მიუხედავად, მონაწილეებმა არც თუ ცუდი შედეგები აჩვენეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩამოვედით თბილისში და დავიწყეთ ვარჯიში „დინამოს" დარბაზში. სამწუხაროდ, ეს გაგრძელდა მხოლოდ ერთი კვირა. შემდეგ ჩვენზე ხელი აიღო თბილისის სპორტკავშირმა, და როგორც ჩანს, ყველამ. ამჟამად აღნიშნულ დარბაზში უნდა ივარჯიშოს საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ჰოკეიში, ჩვენ კი დავრჩით უდარბაზოდ და რა თქმა უნდა, მწვრთნელის გარეშე. არ ვიცით, რომელ სპორტულ საზოგადოებას ვეკუთვნით, ვის ევალება ჩვენზე ზრუნვა და პატრონობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გაურკვეველი მდგომარეობა დროზე უნდა მოგვარდეს და ამაზე იზრუნოს საქართველოს ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციამ.

თბილისის ჰოკეისტთა სახელით:

ო. დონაძე, ვ. ლუბინი, ვ. კამალიანი, მ. გოცირიძე, ი. კიზირია, ბ. გელაშვილი, ა. ჩიკვილაძე, ვ. კაკაბაძე ო. მხეიძე, ზ. დევიძე, ჩ. ლუ-ჩი.

# მოსწავლეთა შორის

თბილისის ოქტომბრის რაიონის მოსწავლეთა შორის ორიოდე წლის წინ დაინერგა ხელბურთი, შარშან ამ სახეობაში პირველი შეჯიბრებაც კი გაიმართა, სადაც უძლიერესნი აღმოჩნდნენ 33-ე სკოლის ხელბურთელები. მიმდინარე წელს ეს სახეობა შეტანილ იქნა სპარტაკიადის პროგრამაში და გამარჯვებისათვის იბრძოდა 9 სკოლის კოლექტივი. ამჯერად გაიმარჯვა 30-ე საშუალო სკოლის გუნდმა.

ე. უგრეხელიძე



ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება მოსკოვში.

სურათზე: ამერიკელი სპორტსმენები. მარცხნივ — ჯ. ბრედფორდი, ტ. კონო და ი. ბერგერი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## სპინეტო თავს იკავებს

არგენტინელ ფეხბურთელთა წარმატებები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატებში დიდ გამოცოცხლებას იწვევს არგენტინაში. აქ მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს ჩილეში არგენტინელებს აქვთ შანსი ბოლოსდაბოლოს გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. ისინი საერთოდ ანგარიშს არ უწევენ ევროპულ გუნდებს და თავიანთ მეტოქედ მხოლოდ ბრაზილიელებს თვლიან.

ერთადერთი, რომელსაც არ დაუკარგავს სიმშვიდე, არის ნაკრების მწვრთნელი სპინეტო. მან განაცხადა: „ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით თამაშებში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ, მაგრამ არგენტინის ახლანდელი გუნდი არ შეიძლება ისეთ ძალად ჩაითვალოს, რომელზეც უდიდეს იმედებს ამყარებენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. ეკვადორის სუსტი ნაკრების დამარცხება და ამით ჩილეში საგზურის მოპოვება დიდი მიღწევა არ არის".

სპინეტოს ახსოვს მისი წ... მორბედის სტაბილეს ბედი, რ... მელიც ... ... განუცხა... ზია, რომ არგენტინელები შვე... ...

## პელე ტრავმირებულია

თავისი შტატის ჩემპიონატ... მორიგი გამარჯვების შემდეგ ს... პაულოს ცნობილი კლუბი „სა... ტოსი" გასტროლებზეა ლათინ... ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. „სანტოსსა" და მასთან ერთ... ბრაზილიის ნაკრებსაც მოუვ... მძიმე დანაკლისი — სერიოზუ... ტრავმა მიიღო პელემ. თამაშ... დაწყებიდან რამდენიმე წუთ... შემდეგ მეხიკოს „ნეხასას" მოთამ... შემ, ცნობილმა არგენტინელ... მცველმა დელაჩამ ბრაზილი... „ვარსკვლავს" ისეთი ძალით ჩა... არტყა ფეხი, რომ იგი მიწა... დაენარცხა და თამაშის გაგრძე... ლება ველარ შეძლო.

„სანტოსმა" მოიგო ეს თამაშ... (4:3). გამარჯვების მიუხედავა... გუნდმა თავზარდაცემულმა დატო... ვა მინდორი.

## ჩემპიონატი გადაიდო

როგორც ცნობილია, სამხრ... ამერიკის ჩემპიონატი ტარდებ... ყოველ ორ წელიწადში ერთხე... და უდიდეს ინტერესს იწვევს არ... მარტო „ფეხბურთის კონტინენტ... ზე", არამედ მთელს მსოფლიო... 1957 და 1959 წლებში ტურნი... დამთავრდა არგენტინელთა გამა... ჯვებით. წელს გაზაფხულზე ი... უნდა ჩატარებულიყო პერუშ... მაგრამ ამ ქვეყანამ თავი ვერ გაა... თვა საორგანიზაციო სიძნელეე... და შეჯიბრების გამართვაზე უა... განაცხადა.

შემდეგ გამოირკვა, რომ შეჯი... რების ჩატარება განზრახული იყ... კოლუმბიაში, მაგრამ ამ წინადად... ბის მოწინააღმდეგეებიც აღმოჩ... დნენ. ამიტომ საკითხი ღიადაა დ... რჩენილი.

## ბილეთები უკვე იყიდება

ჩილეში უკვე დაიწყო ბილეთების გაყიდვა ფეხბურთში. მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით თამაშებზე, ბილეთები ეღირება 1,5-დან 10 დოლარამდე, ხოლო გადამწყვეტ თამაშებზე — 12 დოლარამდე. სანტ-იაგოში თვითეულ თამაშზე გაიყიდება 93.400 ბილეთი, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მატჩები ტარდება არიკაში (25 ათასი ბილეთი), ვინა დელ მარში (35.615 ბილეთი) და რანკაგუაში (35 ათასი ბილეთი).

ყველა ქვეყნის ჟურნალისტებისათვის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ინახავს 7373 ბილეთს.

# ჩილე 1962 წ.

## პასუხისმგებლობა ჩატარდება ოთხ ქალაქში

ყველასათვის ცნობილია თუ რა უბედურება დატრიალდა ჩილეში. მიწისძვრამ გააცამტვერა ქალაქები, სოფლები, ათასობით ადამიანს გაეთხარა სამარე ნანგრევებს ქვეშ, ათასობით კი დასახიჩრდა. ეს წარმოუდგენელი უბედურება განსაკუთრებით განიცადა ქვეყნის სამხრეთმა ნაწილმა.

— ჩილს თავისი უბედურება ეყოფა, სად ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ფეხბურთის მოყვარულები, როდესაც გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები მიწისძვრისაგან გამოწვეული ზარალის შესახებ. როგორც კი გამოიდარა და შესაძლებელი იყო ნახევრად დანგრეულ ქვეყანასთან კავშირის დამყარება, დახმარების ნიაღვარი წამოვიდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამაც გამოიღო ხელი და მსოფლიო პირველობის ჩილის საორგანიზაციო კომიტეტს ოფიციალურად აცნობა, რომ იგი მზად იყო მისთვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

სულ მალე, სხვათა შორის ყველასათვის მოულოდნელად, ჩილის კომიტეტმა მსოფლიოს აცნობა, რომ იგი არ ხსნის თავის კანდიდატურას. კომიტეტის პრეზიდენტმა კარლოს დიტბორნ პინტომ ფიფა-ს აუწყა: „შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ფეხბურთში მსოფლიო პირველობა 1962 წელს ჩილეში ჩატარდება. სამწუხაროდ, ეს არ იქნება ის დიდი შეჯიბრება-ზეიმი, როგორც ჩვენ გვქონდა განზრახული, მაგრამ იგი ჩატარდება და ყველა კმაყოფილი დარჩება. იმ დიდი უბედურების მიუხედავად, ჩვენ მზად ვართ დაუმტკიცოთ მსოფლიოს ჩვენი მაღალი სპორტული სულისკვეთება".

ასეთ ოპტიმისტურ წერილს თან ახლდა პირველობის ჩატარების ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფინალური ჯგუფის მატჩების ჩატარებას მხოლოდ 4 ქალაქში — სანტ-იაგო, ვინა დელ მარი, ნიკარაგუა და არიკა. ფიფა-მ მოიწონა ჩილელთა პროექტი და დაამტკიცა იგი თავის კონგრესზე. რას წარმოიდგენდნენ ის ქალაქები, რომლებშიც განზრახულია ფინალური ჯგუფის თამაშების ჩატარება? რაც მთავარია, აქ ქალაქებს თითქმის არ შეხებია მიწისძვრა. არიკა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი სტადიონი 25.000 მაყურებელს იტევს, სანტ-იაგოს ნაციონალური სტადიონი კი 100.000 მაყურებელს. 35.000 მაყურებელი შეუძლია მიიღოს ვინა დელ მარის სტადიონმა, ამდენივე ნიკარაგუას. ქალაქი არიკა ნიკარაგუას, ვინა დელ მარისა და სანტ-იაგოს ოთხი საათის საფრენითაა დაშორებული. ამის მიუხედავად, არიკაში მაინც ჩატარდება მატჩები, რადგან იგი ჩილეში და საერთოდ სამხრეთ ამერიკაში ცნობილია, როგორც ფეხბურთის მოყვარულთა ქალაქი.

**რ. ყარალაშვილი**




ამ დღეებში ტელ-ავივში შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ეთიოპიისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებს შორის. ისრაელის ფეხბურთელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს მინიმალური ანგარიშით. განმეორებითი მატჩი შედგება ეთიოპიაში და ამ ქვეჯგუფიდან გამარჯვებული შეხვდება იტალიის გუნდს.

ევროპის ჩემპიონთა თასზე პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი „სპარტაკი" (ქ. გრადეც-კრალოვე) და ესპანეთის „ბარსელონა".

როგორც ცნობილია, „ბარსელონამ" პირველი მატჩი თავის მინდორზე მოიგო ანგარიშით 4:0, ამიტომ მას თითქმის გარანტირებული ჰქონდა გასვლა გათამაშების ნახევარფინალში.

ანგარიში გახსნეს ესპანელებმა, მაგრამ „სპარტაკმა" შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. „ბარსელონა" გავიდა ნახევარფინალში.

თასის მეოთხედფინალური მატჩი შედგა ჰამბურგში გფრ-ს ჩემპიონს „ჰამბურგსა" და ინგლისის „ბერნლის" შორის. ინგლისელებს პირველი მატჩი თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3:1, რაც მათ მეორე შეხვედრისათვის საგრძნობ უპირატესობას აძლევდა, მაგრამ „ბერნლიმ" ვერ შეძლო გამკლავებოდა გერმანელთა განუწყვეტლივ შეტევებს და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:4.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ითამაშებენ „ჰამბურგი" (გფრ) და „ბარსელონა" (ესპანეთი).

## „მომთაბარე" ტურნირი

ბათუმში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის VIII პირველობის ნახევარფინალი ასუჯრიან შაშში, რომელშიც 17 მოშაშე მონაწილეობს. საქართველოდან ტურნირში თამაშობს ფოთელი თ. ბარამიძე.

ტურნირი „მომთაბარე" სახეს ატარებს. აჭარაში შაშის პოპულარიზაციის მიზნით ნახევარფინალის ცალკეული ტურები იმართება ბათუმის ქარხნებისა და ფაბრიკების კლუბებში, რაიონებში.

სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კულტურის სახლში გაიმართა მეოთხე ტური, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის.




თავი ისახელა ქართველმა მოშაშემ თ. ბარამიძემ, მან კარგ სტილში დაამარცხა ბაქოელი ტ. მეხტიევი.

ნახევარფინალი გაგრძელდება აპრილის პირველ რიცხვებამდე.

**პ. მორჩილაძე**

* * *

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

რედაქტორი ი. უგულავა.


## დღეს

„ბურევესტნიკის" სტადიონი




ამხანაგური შეხვედრა „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი)

დასაწყისი 14 საათზე.

## დღეს

ლენინის სახ. სპორტდარბაზი

საერთაშორისო შეხვედრა

რუმინეთი-საქართველო

დასაწყისი 18 ს. 30 წ.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

1 2 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00963